

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 22

ქ. თბილისი

29.08.2017

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:  
გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;  
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;  
მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;  
ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;  
არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;  
გიორგი გახელაძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი;  
თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი;
- თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
- ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. გოჩა გოქაძე - შპს №1 სკოლის დირექტორი;
2. მერაბ ჭოხონელიძე - შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის დირექტორი;
3. ნინო კავთიაშვილი - შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის დირექტორი;
4. ავთანდილ აბდუშელიშვილი - შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადას დირექტორი.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ქეთი ბოტკოველი;
- ლეილა გველესიანი;
- ნანა მონიავა;
- მიხეილ ტეფნაძე;
- მაკა ნადარეიშვილი;
- ნინო ფეტვიაშვილი;
- დავით ჭეიშვილი;
- ნოდარ ანგურიძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.



სხდომა გაიხსნა 14:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ წამოჭრა სხდომის მდივნის შერჩევის საკითხი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევა საბჭოს წევრს ქეთევან აბულაძეს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშველაშვილმა, ცენტრში დაწესებულებიდან შემოსული წერილის საფუძველზე, საბჭოს მიმართა შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადასთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვის დღის წესრიგში შეტანის შუამდგომლობით.

საბჭომ გაიზიარა შუამდგომლობა და დღის წესრიგს მეოთხე საკითხად დაემატა შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადასთვის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადასთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.



## 1. შპს №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ნანა მონიაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით. ექსპერტთა განცხადებით სკოლას არ ჰქონდა ხარვეზი ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. კერძოდ:

1.1 საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღინიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2016 წლის 06 სექტემბერს დამტკიცებული 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და შპს N1 სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2017 წლის 05 ივლისს დამტკიცებული 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

წარმოდგენილი 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ხელს უწყობდა სკოლის მისიის მიღწევას. გარდა აკადემიური მიმართულებისა, სააღმზრდელო მიმართულებით სადამრიგებლო პროგრამისა და საგანმანათლებლო რესურსების ნაწილებით განსაზღვრული იყო მოსწავლეთა უნარებისა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებელი სხვადასხვა აქტივობები.

მოსწავლის/მოსწავლეების საჭიროების დასადგენად საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და იგეგმებოდა ცალკეული მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების აქტივობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან გამომდინარე ნათელი იყო, რომ სკოლაში შესაძლებელი იყო ცალკეული საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა.

1.2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი. სკოლის სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო 7 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო. პირველი სართულიდან შესაძლებელი იყო დაწესებულების შიდა ეზოში გასვლა, სადაც მოწყობილი იყო მუსიკის კაბინეტი (ღონისძებების დარბაზი) და სპორტული დარბაზი. მეორე სართულზე განთავსებული იყო სველი წერტილები, 10 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი და კომპიუტერების ოთახი. მესამე სართულზე კი- სველი წერტილები და 15 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახსა და განაყოფის ოთახში განთავსებული იყო დაფა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაწესებულებას გააჩნდა 602 მოსწავლის მერხი და სკამი.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურდულია დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლაში ამჟამად სწავლობდა 350 მოსწავლე.



ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სკოლას დიდი ხნის ისტორია და შესაბამისად რამდენიმე ავტორიზაციის პროცესი ჰქონდა გავლილი, ამიტომ არ დაფიქსირებულა არანაირი ხარვეზი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, როდიდან ფუნქციონირებდა სკოლა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 1992 წლიდან.

1.3 ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო პერსონალი: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ადმინისტრატორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, საქმისმწარმოებელი, ისტ.მენეჯერი, მწე, 2 დამლაგებელი, 48 მასწავლებელი, მათ შორის 33 უფროსი, ხოლო 15 პრაქტიკოსი.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამიანური რესურსების სტანდარტებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტმა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს N1 სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს N1 სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს N1 სკოლას (ს/კ: 212690729) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.



## 2. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა მაკა ნადარეიშვილმა. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას ხარვეზები არ გააჩნდა. დაწესებულებას მისიიდან გამომდინარე შემუშავებული ჰქონდა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები: ქართული, უცხო ენისა და მათემატიკის საგნების გაძლიერებული სწავლება. ამ მიზნით, გარდა სავალდებულო საათებისა, ჰქონდა დამატებითი სავალდებულო საათები.

სასკოლო სასწავლო გეგმა უზრუნველყოფდა მოწავლეს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა მისიიდან გამომდინარე, შემუშავებული ჰქონდა სამოქმედო გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემდა ნებისმიერ მოსწავლეს მოეხდინა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია.

ექსპერტის თქმით, მშობლებთან გასაუბრებამ და სკოლის სადამრიგებლო პროგრამების გაცნობამ აჩვენა, რომ პედაგოგები, დამრიგებლები და ზოგადად, სკოლის საზოგადოება აპირებდა მჭიდროდ ურთიერთობას მშობლებთან. სკოლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა მშობელთა სათათბიროს შექმნას, სათათბიროს დებულების სამუშაო ვარიანტი შექნილი იყო. მშობლების ინფორმირებისათვის გამოყენებული იქნებოდა: ელექტრონული შეტყობინებები, სატელეფონო საუბრები, სკოლის ვებგვერდი და შპს „მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა“- ის facebook გვერდი. სასწავლო წლის ბოლოს ყველა დამრიგებელი მშობლებს საერთო კრებაზე წარუდგენდა კლასის საქმიანობის ანგარიშს და მოახდენდა შეფასებას, მშობელთა მონაწილეობით განსაზღვრავდა კლასის მომავალი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს. ასევე წლის განმავლობაში მოეწყოდა ინტერვიუები ცალკეულ მშობლებთან.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა ფუნქციონირებდა ქ. ქუთაისი, ბუხაიძის ქ. N 9-ში მდებარე სამსართულიან შენობაში. შენობის მესაკუთრე იყო შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა. სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. შენობის გათბობა ხორციელდებოდა ბუნებრივი აირით, ცენტრალური სისტემით. სველი წერტილები განთავსებული იყო სკოლაში, ერთი მათგანი ადაპტირებული იყო სსსმ მოსწავლეზე. თითოეული საკლასო ოთახი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებით. სკოლაში იყო 38 საკლასო და 13 განაყოფის ოთახი, სადაც განთავსებული იყო 560 ერთადგილიანი მერხი და 560 სკამი. გარდა ამისა, საკლასო ოთახები ასევე აღჭურვილი იყო მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით, ასევე სასწავლო პროცესის



დამხმარე თვალსაჩინოებებით. სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობები იყო კალათბურთი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. სკოლის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე, სკოლას ჰქონდა 106.8 კვ.მ. ფართის დარბაზი მაგიდის ჩოგბურთისთვის და კალათბურთისათვის. ასევე სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული იყო დახურული სპორტული მოედნის აშენება, რომლის მშენებლობა დაწყებული იყო. სკოლის ეზოსთან განთავსებული იყო მუნიციპალური ღია მოედანი ფეხბურთისათვის და კალათბურთისათვის. ექსპერტის თქმით, სკოლას შექმნილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობები. ლაბორატორია განთავსებული იყო ცალკე საკლასო ოთახში, რომელსაც ჰქონდა ფანჯარა, რომლითაც შესაძლებელი იყო ოთახის განიავება. სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, შესაბამისი წიგნადი ფონდით. სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული 23 კომპიუტერი. სკოლას ასევე გააჩნდა 2 პრინტერი და 2 ასლგადამღები.

ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, დაწესებულებას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლის კოლექტივი შედგებოდა 71 წევრისგან, რომელთა შორის 7 ადმინისტრაციის თანამშრომელი იყო, მათ შორის დირექტორს შეთავსებული ჰქონდა ბიოლოგიის მასწავლებლის ფუნქცია და იყო წამყვანი მასწავლებელი. 64 მასწავლებლიდან 44 მასწავლებელს მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 6 მასწავლებელს კი პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, მათგან 2 მასწავლებელს ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა. 12 მასწავლებელს არ ჰქონდა მინიჭებული სტატუსი, შესაბამისად ისინი არ იყვნენ ჩართულები მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემებში, თუმცა მათი კვალიფიკაცია დასტურდებოდა დიპლომებით და ასევე შეტანილი ჰქონდათ განაცხადი საგნის გამოცდის ჩასაბარებლად. სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან სამუშაო გეგმაში გაწერილი იყო ადამიანური რესურსის განვითარების ხელშემწყობის მექანიზმები, ამ მხრივ სკოლის მიზანი იყო შეექმნა პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა გეგმავდა სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობას და საკუთარი კადრების ჩართვას.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 560 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 560-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0



გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას (ს/კ: 412725573) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 560-ით.





### 3. შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ჭეიშვილმა, ნინო ფეტვიაშვილმა და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ არ გაითვალისწინა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული საქმისწარმოების ვადები, რომლის თანახმად, ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების სტატუსის მამიებლად ცნობიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში, და განაცხადი წარმოადგინა ცენტრში ავტორიზაციის ვადის გასვლამდე 116 კალენდარული დღით ადრე.

ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე, დასკვნის პროექტი გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას, რის შემდეგაც სკოლამ, თავის მხრივ, ცენტრში წარმოადგინა საკუთარი პოზიცია დასკვნის რიგ საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა არგუმენტების გასამყარებლად სკოლას არც ერთი ისეთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, რაზეც თავად ექსპერტთა დასკვნაში არ იქნებოდა მითითებული. შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილმა პოზიციამ ვერ იქონია გავლენა ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნაზე.

ექსპერტმა მატერიალური რესურსის წარმოდგენისას აღნიშნა, რომ დაწესებულება დარღვეული იყო „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მიხედვით, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული სტანდარტი. შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის კუთვნილი ქონება - მიწა და შენობა-ნაგებობები დაყადაღებული იყო. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალიდან გაირკვა, შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი იყო რამოდენიმე სკოლის ქონების 100%-იანი წილის მფლობელი, რომლებიც ასევე დაყადაღებულია. ეს მოცემულობა აჩენდა ეჭვს სკოლის ფინანსური მდგომარეობის და სამომავლო მდგრადობის შესახებ. აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ: საჯარო რეესტრის 2016 წლის 29 სექტემბრის ამონაწერიდან ირკვეოდა, რომ შპს „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს“ არ ჰქონდა შესრულებული 2008 წლის 22 აგვისტოს №4982/1 ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები; შპს „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს“ საკუთრებაში არსებული ზემოთ ნახსენები ქონების გარიგების საფუძველზე რეგისტრაციაზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2017 წლის 09 იანვარს ეთქვა უარი; საჯარო რეესტრის 2017 წლის 25 ივლისის ამონაწერიდან ირკვეოდა, რომ შპს „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის“ საკუთრებაში არსებული ქონება დაყადაღებული იყო ქ.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 07 თებერვლის №1798432 განჩინებით.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დემირელის სკოლა იყო ბათუმში მდებარე იმ შენობის მეპატრონე, სადაც ადრე განთავსებული იყო შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი. ეს შენობა ძალიან მალე გაიყიდებოდა და თანხა ჩაირიცხებოდა დემირელის კოლეჯის ანგარიშზე, რითაც დაიფარებოდა დავალიანება.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რა მიზეზით იყო დემირელის კოლეჯის ქონება დაყადაღებული და რისგან წამოიქმნა დავალიანება. განმარტებისათვის ზეპირი მოსმენის დარბაზიდან საბჭოს წინაშე სიტყვა ითხოვა საფფეთ ბაირაქეთთანმა (მისივე განმარტებით, დემირელის კოლეჯის დირექტორი), რომელმაც აღნიშნა, რომ შენობა დაყადაღებული იყო შემოსავლების სამსახურის ფინანსური შემოწმების შედეგად. ყადაღა წარმოიშვა 600 000 დავალიანების გამო, შემოსავლების სამსახურმა მათ საურავისა და ჯარიმების სახით დააკისრა მილიონამდე თანხა. მისი სიტყვით, ჯარიმა არაკანონიერად დაეკისრა სკოლას და დემირელის კოლეჯმა ეს გაასაჩივრა და დავალიანებას არ აღიარებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ მურდულიამ განმარტა, რომ საბჭოს დაინტერესება კოლეჯის ფინანსური საკითხებით დაკავშირებული იყო სკოლის სამომავლო საქმიანობასთან და მის ფინანსურ მდგრადობასთან.

ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს წარუდგინა ასევე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ის ნაწილებიც, სადაც საუბარი იყო რიგი სასწავლო ინვენტარის კანონიერი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობაზე. სკოლის დირექტორმა, ნინო კავთიაშვილმა, დაფიქსირებული ხარვეზების შესახებ გამაბათილებელი არგუმენტი საბჭოს წინაშე ვერ წარმოადგინა, მას ასევე, არ წარმოუდგინა მტკიცებულებები სასწავლო ინვენტარის სადავო ნაწილის კანონიერ ფლობასთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნა სერიოზული დარღვევები საქმისწარმოების მხრივაც. კერძოდ, საკლასო ჟურნალების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სიებში დაფიქსირებული მოსწავლეების რაოდენობა არ ემთხვევა პირად საქმეებში დაფიქსირებულ რაოდენობას. მოსწავლეთა რაოდენობის გადამოწმებისას ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ განათლების საინფორმაციო სისტემის ბაზით, ჟურნალების მონაცემებით და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ ამოღებული მონაცემები იყო მუდმივად განსხვავებული და ერთმანეთს არ ემთხვეოდა.

სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი იყო მოსწავლეების გადასვლა სხვა სკოლებში. თუმცა ეს განმარტება საბჭომ არ მიიჩნია საკმარისად, რადგან მოსწავლეები რომ გადასულიყვნენ სხვა სკოლაში ჟურნალებში უნდა გაკეთებულიყო შესაბამისი ჩანაწერი ამორიცხვის შესახებ ბრძანების მითითებით, ამასთან ინფორმაცია სკოლას აუცილებლად უნდა ეცნობებინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის, რათა დაკორექტირებულიყო მოსწავლეთა რაოდენობა და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გასაცემი ვაუჩერის ოდენობა.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ, დაწესებულების წარმომადგენლისაგან მოითხოვა დამატებითი განმარტება. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლაში არ იყო მოსწავლე, რომელიც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში არ იქნებოდა დაფიქსირებული. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში საუბარი იყო 4 მოსწავლეზე, რომლებიც სასწავლო წლის დასრულების შემდეგ გადავიდნენ სხვა



სკოლებში და გაიტანეს პირადი საქმეები. ჟურნალი დახურული იყო, ხოლო სწავლა დასრულებული და ალბათ ამიტომ არ აისახა ბრძანების ნომერი, თუმცა ბრძანებები არსებობდა.

ექსპერტმა დირექტორის კომენტარის საპასუხოდ განმარტა, რომ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა საკლასო ჟურნალები და მოსწავლეთა პირადი საქმეები. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მე-3 კლასის საკლასო ჟურნალის მიხედვით სიით ირიცხებოდა 10 მოსწავლე, ადგილზე იყო 9 მოსწავლის პირადი საქმე; მე-3<sup>ე</sup> კლასში სიით ირიცხებოდა 9 მოსწავლე, ადგილზე იყო 4 მოსწავლის პირადი საქმე; მე-4<sup>ე</sup> კლასში სიით ირიცხებოდა 11 მოსწავლე, ადგილზე იყო 3 მოსწავლის პირადი საქმე; მე-7<sup>ე</sup> კლასში სიით ირიცხებოდა 19 მოსწავლე, ადგილზე იყო 8 მოსწავლის პირადი საქმე. ეს ბავშვები საკლასო ჟურნალებსა და ბაზაში ფიქსირდებოდა, მაგრამ მათი პირადი საქმეები სკოლაში არ იყო. სხვა სკოლებში გადასული მოსწავლეები ბრძანებით უნდა ამორიცხულიყვნენ და ჟურნალში მითითებული უნდა ყოფილიყო ბრძანების ნომერი, თარიღი. ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ თუ სკოლის ადმინისტრაცია ამ შეფასებას უსაფუძვლოდ თვლიდა, მას შეეძლო საკუთარ ახსნა-განმარტებასთან ერთად ცენტრში წარმოედგინა სკოლიდან გადასული ბავშვების პირადი საქმეები მტკიცებულების სახით, რაც დაწესებულების მხრიდან არ მომხდარა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ შერჩევითი პრინციპით შემოწმებისას 20 პირადი საქმის დანაკლისი უკვე დაფიქსირდა. ამასთან, თუ გადასული ბავშვები განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ისევ დემირელის კოლეჯში ირიცხებოდნენ, გამოდის, რომ მათი ვაუჩერებიც ამ დაწესებულებას ერიცხებოდა. სკოლის დირექტორმა დაადასტურა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო ბაზისთვის არ უცნობებია მოსწავლეების გადასვლის შესახებ, რაც დასტურდებოდა იმითაც, რომ გადასული მოსწავლეები კვლავ ირიცხებოდნენ სკოლის მოსწავლეთა სიაში. საბჭოს თავმჯდომარემ არსებული ვითარება შეაფასა, როგორც არა უბრალოდ გადაცდომა, არამედ კრიმინალის შემცველი ქმედება და აღნიშნა, რომ საბჭო მოსთხოვდა ცენტრს, რომ საქმე პროკურატურაში გადაეგზავნა შესასწავლად.

ექსპერტმა საბჭოს წინაშე აღნიშნა, რომ სკოლაში ფაქტობრივად არსებული პირადი საქმეების შემოწმების შედეგად ისიც დაფიქსირდა, რომ სკოლა კანონდარღვევით აწარმოებდა პირად საქმეებს. მაგალითად, სკოლაში 2011 წელს შესული მოსწავლის პირადი საქმე გახსნილი იყო 2013 წელს დამტკიცებული ფორმით. მაშინ როდესაც, ცხადია, რომ 2011 წელს ვერავინ განსაზღვრავდა, თუ რა სახის ნიმუშს დაამტკიცებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2013 წლის აგვისტოში.

ექსპერტის შეფასებით, მძიმე დარღვევები დაფიქსირდა, მაგალითად, მოსწავლეების ჩარიცხვებთან დაკავშირებითაც, როდესაც მოსწავლეთა ჯგუფებისთვის ერთ დღეში იქმნებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასების საგამოცდო კომისია, იმავე დღეს მტკიცდებოდა საგამოცდო განრიგი, მტკიცდებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და კომისია იღებდა გადაწყვეტილებას მოსწავლეების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაძლევის შესახებ. დაწესებულებამ აღნიშნული ხარვეზი ახსნა საქმისწარმოების ტექნიკური შეცდომით, რაც საბჭოს მხრიდან არასერიოზულ და არადადამაჯერებელ არგუმენტად იქნა მიჩნეული.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 2016-2017 სასწავლო წელს შპს „დემირელის სახელობის კოლეჯში“ ჩაირიცხა 109 უცხოენოვანი მოსწავლე. დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტებით, ამავე სასწავლო წელს 109 მოსწავლიდან, ვიზიტის პერიოდისთვის, დოკუმენტების თანახმად სკოლაში დარჩენილი იყო 42 მოსწავლე. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მოსწავლეთა რეესტრის შესახებ სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, 2017 წლის 10 მაისის მონაცემით კოლეჯში ირიცხებოდა 192 მოსწავლე (უცხო ქვეყნის მოქალაქე). საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალის



თანახმად, 2017 წლის 10 მაისის შემდეგ მოხდა 66 მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება და 39 მოსწავლის კლასიდან ამორიცხვა. შესაბამისად, სკოლაში დარჩენილი უნდა ყოფილიყო 87 მოსწავლე და არა - 42.

ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ დოკუმენტების შესწავლით გაირკვა რომ, მაგალითად, მე-12 კლასის 2 მოსწავლე საერთოდ არ არის შეყვანილი ჟურნალში, სამაგიეროდ, ისინი ირიცხებიან სკოლის მიერ მოწოდებულ სიებში და ასევე შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

თვითშეფასების დანართში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით დემირელის სახელობის კოლეჯში 37 კლასია. საკლასო ჟურნალების მონაცემების (სიის) დაჯამების შედეგად, შპს „დემირელის სახელობის კოლეჯში“ სიით ირიცხება 476 მოსწავლე, (ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ რაოდენობაში ჩათვლილი არაა მე-12 კლასელები), რაც არ შეესაბამება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს - 361 მოსწავლეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დირექტორს კითხვით, რა არგუმენტი ექნებოდა 105 მოსწავლეში ცდომილებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ გარკვეულ მოსწავლეებს აქვს სტატუსი შეჩერებული და ცდომილებაც ამით აიხსნებოდა. ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ ასეთი მოსწავლეები გამოკლებულია საერთო რაოდენობიდან, შესაბამისად, სკოლის დირექტორის ეს განმარტება საბჭომ არ გაიზიარა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ხდებოდა მოსწავლეების დიდი რაოდენობით ერთდროულად ჩარიცხვა. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მოგვიანებით მზადდებოდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ერთ დღეს ხდებოდა ამ გეგმების ერთიანად დამტკიცება და იმავე დღეს მოსწავლეთა ცოდნის აღიარება, რასაც ადასტურებენ ოქმით. მაგალითად, 2016 წლის 6 დეკემბერს შპს „დემირელის სახელობის კოლეჯში“ N2-380-დან - N2-426-მდე ბრძანებებით ერთდროულად ჩაირიცხა 47 სხვადასხვა კლასის მოსწავლე. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობისთვის შედგენილი იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა მითითებულ ვადებში შესრულება უზრალოდ არარეალური იყო. ინდივიდუალური გეგმები არ იყო მორგებული მოსწავლეთა საჭიროებებს, მაგალითად, მე-7 კლასის პირველი სემესტრის დასაძლევად მოსწავლისათვის შემუშავდა და დამტკიცდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც მოიცავდა ტექსტებს ვეფხისტყაოსნიდან, ილია ჭავჭავაძის, სულხან-საბა ორბელიანის, ვაჟა ფშაველას და სხვა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან. პროგრამის გავლისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული იყო 58 საათი. იმავე დღეს დირექტორის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ აღნიშნულ მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების დამლევა დადასტურებულად ჩაუთვალა. ანალოგიური შინაარსის იყო სხვა მოსწავლეებისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. თუმცა ჩატარებული გამოცდების შედეგად ყველამ წარმატებით გადალახა სასურველი ზღვარი. ამასთან, დაწესებულებაში არსებობდა მხოლოდ ოქმები, მაგრამ ოქმებს არ ახლდა არანაირი დანართი, იქნებოდა ეს ტესტი, თუ რაიმე სხვა დოკუმენტაცია. ექსპერტების კითხვაზე, თუ ზოგადად როგორ და რა კრიტერიუმით ხდებოდა შეფასება დაწესებულებამ ვერ წარადგინა ვერანაირი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, თუ რა ვადა იყო მითითებული ქართული ენის შესწავლისთვის. ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტებიდან გამომდინარე ზოგისთვის ეს ვადა 2 დღეა, ხოლო ზოგისთვის - 3 თვემდე. ექსპერტმა დასძინა, რომ ამ ვადებში ენის შესწავლა შეუძლებელია.

საბჭოს წევრმა, თამარ კაპანაძემ, ექსპერტს დაუსვა კითხვა, თუ რამდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იყო არარეალურ ვადაში დამლეული, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ყველა ინდივიდუალური



სასწავლო გეგმა, რომელიც მათ გადაამოწმეს დაძლეული იყო არარეალურ ვადაში. ნინო ფეტვიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ სულ 109 მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წამოადგინა სკოლამ, რომელთა შემოწმება მოხდა შერჩევით. მაგალითად, 2017 წლის 13 აპრილს ორი მოსწავლე ჩაირიცხა მე-12 კლასში. ამავე წლის 29 მაისს დამტკიცდა საგამოცდო კომისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებთან შესაბამისობის დაუდგენლობის გამო შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით საგნების დაძლევის დონის შეფასების მიზნით. იმავე დღეს, 29 მაისს, როცა მე-12 კლასში სასწავლო პროცესი უკვე დასრულებული იყო, მოხდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მეორე უცხოური ენა (რუსული), საქართველოს და მსოფლიო ისტორია, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, ბიოლოგია, ფიზიკა და ქიმია. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილი იყო არა იმ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რომელმაც საერთოდ არ იცოდა ქართული ენა, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე მორგებულად, რაც აბსოლუტურად არარეალური იყო. საგულისხმოა, რომ იმავე დღეს, 2017 წლის 29 მაისს, გამოიცა ბრძანება ჩატარებული გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ, დაერთო ოქმი, სადაც აღნიშნეს, რომ აღნიშნულმა ორმა მოსწავლემ წარმატებით დაძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დამადასტურებელი დოკუმენტაცია შედეგების დაძლევის შესახებ კი, სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ამასთან, ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს შემაჯამებელი სამუშაო შესრულებული აქვს კლასში ჩარიცხვამდე და მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე.

საბჭოს წევრმა რეზო აფხაზავამ აღნიშნა, რომ მას შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ იმის პარალელურად, რომ სკოლაში დადიან ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა წარმატებას აღწევენ, ხდება მოსწავლეთა ნაკადების შემოდინება, აღიარება და გადინება. მან ექსპერტს დაუსვა კითხვა, მასწავლებლები არიან თუ არა ამ გარემოებების საქმის კურსში.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან საუბრიდან გამომდინარე, ისინი ადასტურებენ, რომ დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამეცადინებენ მოსწავლეებს და ა.შ. ხოლო ექსპერტის შეკითხვაზე, თუ რითი ადასტურებენ მოსწავლეების შედეგებს, მასწავლებლები პასუხობდნენ, რომ ზეპირად ხდებოდა შედეგების დადასტურება და სკოლაში არანაირი ჩანაწერები არ არსებობს.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში ხდებოდა მოსწავლეთა სტატუსის ერთდროულად შეცვრა. მაგალითად, 2017 წლის 21 ივლისს, ბრძანებებით N2-369-იდან N 2-405-ის ჩათვლით, სტატუსი შეუქრდა 37 მოსწავლეს. ამასთან, იყო შემთხვევები, როდესაც დირექტორის ბრძანებით სკოლიდან ამორიცხულ მოსწავლეებს მომდევნო სემესტრში შეფასებები მაინც ჰქონდათ მიღებული.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დოკუმენტურად სწავლა მიმდინარეობს ქართულად, მაგრამ აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც მოთხოვნილ იქნა ჟურნალები, პირველ დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა ჟურნალების ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადინეს მხოლოდ ვიზიტის მე-3 დღეს. მოგვიანებით წარმოდგენილი ჟურნალების შესწავლისას გაჩნდა ეჭვი, რომ სწავლება მიმდინარეობდა უცხო ენაზე, იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა კლასები, სადაც მხოლოდ უცხოენოვანი ბავშვები იყვნენ ჩარიცხული სხვადასხვა დროს, რომლებიც მცირე ხანში ტოვებდნენ სკოლას.

ექსპერტმა ჯგუფისაგან საბჭომ ასევე მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რიგ შემთხვევაში, სკოლა იყენებდა უცხოენოვან არაგრიფირებულ სახელმძღვანელოებს - სკოლის სასწავლო გეგმაში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესასწავლად გათვალისწინებული იყო არაგრიფირებული სახელმძღვანელოები უცხოურ ენაზე (მაგალითად VIII კლასში, სახელმძღვანელო - Microsoft Windows 7. გამომცემლობა - Zambak publishing, ავტორები - Osman Ay და Muammer Qksuz).



საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ დაუსვა კითხვა სკოლის დირექტორს, ადასტურებდა თუ არა, რომ სკოლაში ნამდვილად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება. დირექტორმა საბჭოს მოახსენა, რომ მოსწავლეები, მათ შორის უცხოელები, კანონმდებლობის დაცვით იყვნენ ჩარიცხულნი სკოლაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე სწავლობდნენ ქართულ ენას და ცდილობდნენ ყველა საგანში სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლაში მოქმედებდა გაძლიერებული ქართული ენის შემსწავლელი პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა დაზუსტება, რამდენ ხანში სწავლობდნენ უცხოელი მოსწავლეები ქართულ ენას ისე, რომ შეძლებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას ყველა საგანში. დირექტორმა უპასუხა, რომ დაახლოებით სამ თვეში მოსწავლეები ძლევდნენ ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრულ შედეგებს და აგრძელებდნენ სწავლას ქართულ ენაზე.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა, დაინტერესდა დემირელის კოლეჯში ყველა მოსწავლე ქართულ ენაზე სწავლობდა თუ არა ყველა საგანს, და თუ ეს ასეა, რატომ იყო სკოლაში ყველგან უცხოენოვანი წარწერები ან რით ხსნიდა დირექტორი უცხოენოვანი სახელმძღვანელოს არსებობას. დირექტორმა განმარტა, რომ შენობა დემირელის კოლეჯს გადმოეცა წერეთლის სახელობის სკოლიდან და წარწერებიც ძველი იყო. რაც შეეხება სახელმძღვანელოს, ამ კონკრეტულ კლასებში ქართულენოვანი გრიფირებული სახელმძღვანელო არ არსებობდა, ამიტომ იყენებდა პედაგოგი უცხოენოვან სახელმძღვანელოს, როგორც დამხმარე რესურსს. თუმცა, საბჭოს თავმჯდომარემ შეახსენა, რომ უცხოენოვანი სახელმძღვანელო სასკოლო სასწავლო გეგმაში დაფიქსირებული იყო ძირითად სახელმძღვანელოდ და სხვა ქართულენოვანი სახელმძღვანელო არ იყო მითითებული, ამდენად ეს განმარტება საბჭოს მხრიდან გაზიარებული ვერ იქნებოდა.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა განაცხადა, რომ კიდევ ერთი პრობლემა იყო მასწავლებლების რაოდენობის დადგენა. კერძოდ, ვერ დადგინდა რეალურად ვინ ასწავლიდა სკოლაში. ცენტრში შემოტანილ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი მასწავლებლების სია, რომელთა პირადი საქმეები არ ინახებოდა ადგილზე და არც მოქმედი მასწავლებლების ნუსხაში. ასევე, დადებული იყო ხელშეკრულებები მასწავლებლებთან, რომელთა დოკუმენტაცია არ იყო პირად საქმეებში. დაწესებულების წარმომადგენლების ახსნით, ისინი აღარ მუშაობდნენ სკოლაში და შეწყვეტილი ჰქონდათ ხელშეკრულება. თუმცა ხელშეკრულებების შეწყვეტის დოკუმენტები სკოლაში ვერ წარმოადგინა.

რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ მისთვის საინტერესო იყო ამგვარ საქმიანობაში მხოლოდ ადმინისტრაცია იყო გარეული, თუ მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ, რადგან, მისი აზრით, აღნიშნული გარემოებები არაკანონიერი ქმედების ყოველგვარ ზღვარს სცდებოდა. საბჭოს წევრის განცხადებით, აქ ლაპარაკი არ იყო შეცდომებზე, რადგან შეცდომები ნებისმიერ საქმიანობაში შეიძლება მოხდეს. აქ ისახებოდა სურათი, რომ ეს იყო თანმიმდევრული საქმიანობა. მან აღნიშნა, რომ მოსმენის დროს რამდენჯერმე დაისვა პირდაპირი კითხვა, ნამდვილად ქართულენოვანი სწავლება მიმდინარეობდა თუ არა სკოლაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლები დაბეჯითებით არწმუნებდნენ საბჭოს, თუმცა ფაქტებმა საბჭო საბოლოოდ დაარწმუნა ეჭვის საფუძველიანობაში, რაც ნიშნავდა იმას, რომ მოსწავლეების ტრანზიციის დემირელის სკოლის გავლით ისე ხდებოდა, რომ ისინი საერთოდ არ ჩნდებოდნენ სკოლაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ესაუბრა მათემატიკის მასწავლებელს, რომელიც უცხოელია, მაგრამ განათლება საქართველოში აქვს მიღებული და შეძლებდა ქართულ ენაზე სწავლებას, მაგრამ ბუნდოვანია ფიზიკის სწავლების საკითხი, რადგანაც საკლასო ჟურნალების უმეტესობაში შეტანილია ფიზიკის ქართველი მასწავლებლის მონაცემები. პირადი საქმეებისა და ცხრილის



მიხედვით ფიზიკას ასწავლის თურქი მასწავლებელი. მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, თუმცა მისივე დოკუმენტაციის (CV) თანახმად, ის ფლობს ინგლისურ და თურქულ ენებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ XI (დ), IX(დ), VII (ე,დ), X კლასებში მოსწავლეების მოძრაობა (ჩარიცხვა) ხდებოდა 2016 წლის ოქტომბრიდან თითქმის ყოველთვიურად, სწავლობდნენ უმეტეს შემთხვევაში, აღიარებით ჩარიცხული ან უცხოენოვანი სკოლიდან გადმოსული მოსწავლეები. საკლასო ჟურნალის და წარმოდგენილი გაკვეთილების ცხრილების შედარებისას მყარდება მოსაზრება, რომ სწავლა სკოლაში მიმდინარეობდა უცხო ენაზე.

ამასთან, მე-12 და მე-11 კლასების ჟურნალებში გადამოწმებულ იქნა შემაჯამებელი სამუშაოების როდენობა და გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში ქულები არასწორად იყო დათვლილი და დაჯამებული, ასევე მოსწავლეს შემაჯამებელი სამუშაო შესრულებული ჰქონდა კლასში ჩარიცხვამდე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე, ხოლო პირველი სემესტრში კლასიდან ამორიცხული მოსწავლეების შეფასება ფიქსირდებოდა მეორე სემესტრშიც. მოსწავლე 01.03.2017 წელს ჩარიცხა მე-11 დ კლასში, თუმცა ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასდა 27.02.2017 წ.-ს და მიიღო 6 ქულა, ინგლისურ ენაში შეფასდა 24.02.2017 წ.-ს და მიიღო 6 ქულა. ეს ყველაფერი კი მოხდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენამდე.

ნინო ფეტვიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ IV ა კლასში საკლასო ჟურნალის თანახმად ისწავლებოდა თურქული ენა, თუმცა არც ცხრილით და არც ბადით ეს საგანი არ იყო დაფიქსირებული. ასეთივე მდგომარეობა იყო VI კლასში. საკლასო ჟურნალის თანახმად თურქული ენის სწავლებას კვირაში 3 საათი ეთმობოდა, რაც არ იყო გათვალისწინებული არც ცხრილით და არც ბადით.

გარდა აღნიშნულისა, ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც აღწერილია: მხარეთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები; სამუშაო დრო, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შვებულების მიცემის წესი, შეთავსებითი სამუშაო, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, შრომითი დავების გადაწყვეტა, სხვა დებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებები დადებულია ერთი წლის, 5 წლისა და განუსაზღვრელი ვადით. ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული სკოლის სპეციფიკა. მაგალითად, ზოგიერთი ხელშეკრულება დადებულია იანვრიდან, აპრილიდან და მაისიდან ერთი წლის ვადით, რაც არ მიყვებოდა არც ბადეს და არც - სასწავლო გეგმას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის ბრძანებით N77/წ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებაში N99/წ შევიდა ცვლილებები (მუხლი 30<sup>2</sup>-ის), რომლის თანახმად „იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან მასწავლებლების/პროფესიული განათლების მასწავლებლების/აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთო როდენობის ცვლილებამ მიაღწია 10%-ს, დაწესებულება ვალდებულია ცვლილებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობოს ცენტრს აღნიშნულის შესახებ“, რაც არ მოხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის დირექტორს გაეკეთებინა კომენტარი ექსპერტის მიერ განხილულ საკითხებზე. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ წარმოადგინა მასწავლებლების პირადი საქმეები. ნინო ფეტვიაშვილმა აქვე განმარტა, რომ ეს პირადი საქმეები ექსპერტთა ჯგუფს



შესწავლილი ჰქონდა. ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა, განმარტა, რომ მეტი სიცხადისთვის, ვიზიტის დროს მათ მოითხოვეს მასწავლებელთა ტარიფიკაციები, რაზეც სკოლამ განაცხადა უარი, როგორც კომერციულ-ფინანსური საიდუმლოების გაცემაზე.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ რამდენიმე პედაგოგს გარკვეული მიზეზების გამო მოუხდა ქვეყნის დატოვება და მოხდა მათი ჩანაცვლება, შესაბამისად მისთვის გაუგებარი იყო დაფიქსირებული დარღვევის არსი.

გრიგოლ მურდულიამ განმარტა, რომ როცა რომელიმე სკოლაში მუშაობს მასწავლებელი, მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, ეს ბუნებრივი მოვლენაა; მაგრამ როცა მასწავლებელი წასულია სკოლიდან და მასთან კვლავ მოქმედებს ხელშეკრულება, ჩნდება კითხვა, რატომ არაა შეწყვეტილი ეს ხელშეკრულება. ამასთან, ცხადია, რომ მოქმედი ხელშეკრულების პირობებში, დაწესებულება ვალდებულია გადაუხადოს დასაქმებულს ანაზღაურება.

საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძემ განაცხადა, რომ ეს საკითხი ძალიან ჰგავდა მოსწავლის შემთხვევას, როცა მას ეწერებოდა შეფასება, თუმცა ის უკვე ამორიცხული იყო სკოლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის დირექტორს განუცხადა, რომ მისი პასუხები მოკლებული იყო დამაჯერებლობას. ასევე დაამატა, რომ მას აინტერესებდა სწავლების ენის ბუნდოვანების საკითხის გარკვევა. ამაზე სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ სწავლა მიმდინარეობდა ქართულად; ხოლო შეკითხვაზე, როგორ ასწავლიდნენ ქართულად მათ, ვინც ქართული ენა არ იცოდა, დირექტორმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა უცხოენოვან მოსწავლეებთან ყველა სკოლას შეიძლება შეექმნოდა; ამასთან, ხარვეზის შესახებ აღნიშნა, რომ 14 მოსწავლეზე გაიპარა ტექნიკური შეცდომა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ეს არგუმენტი საბჭომ არ გაიზიარა.

საბჭოს წევრმა, რეზო აფხაზავამ, სკოლის დირექტორს დაუსვა შეკითხვა იყო თუ არა ის გადაწყვეტილების მიმღები პირი სკოლაში და იყო თუ არა საქმის კურსში მოსწავლეების შემოძინება-გადაღების საკითხზე. საბჭომ მოუწოდა დირექტორს, თუ არსებობდა ამის შესაძლებლობა, წარმოედგინა არგუმენტები შექმნილი საერთო აზრის საპირისპიროდ.

დირექტორმა განმარტა, რომ რაც შეეხება ერთდროული ჩარიცხვის საკითხს, დემირელის კოლეჯში ერთდროულად ჩარიცხა რამდენიმე ათეული მოსწავლე მობილობის წესით, ხოლო აღიარების წესით ჩარიცხული იყო 109 მოსწავლე, უმეტესობა თურქეთიდან, გარკვეული მიზეზების გამო. ისინი დაწესებულებაში დაშვების ბრძანებით ესწრებოდნენ გაკვეთილებს, რადგან განათლების აღიარების პროცესი დიდ დროს მოითხოვდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ამ განმარტებით ჩანს, რომ თურქეთიდან დიდი რაოდენობის მოსწავლეების ნაკადი შემოვიდა, დიდი ალბათობით, საჭირო დოკუმენტების გარეშე და სკოლა შეეცადა, რომ ეს პრობლემა მათთვის მოეგვარებინა. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ სკოლის ეს მცდელობა სრულიად აცდენილია კანონს და ამით სკოლა და მისი ხელმძღვანელიც სერიოზული საფრთხის წინაშე დადგნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა დასახელებული საკითხი უმწვავესი იყო და მიმართა, დირექტორს განემარტა, როგორ იყო შესაძლებელი, რომ ერთ დღეში ხდებოდა მოსწავლეთა ჩარიცხვა, იქმნებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შესრულება არარეალურია და იმავე დღეს ხდებოდა შედეგების დამლევის დადასტურება ერთბაშად რამდენიმე საგანში. საბჭომ მიმართა



კითხვით დირექტორს, ხომ არ იყო იგი რაიმე ზეწოლის ქვეშ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

დირექტორმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები დადიოდნენ სკოლაში 2-3 თვის განმავლობაში; რაც შეეხება, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ზეწოლას, დირექტორმა განაცხადა, რომ იგი ზეწოლის გარეშე ითვალისწინებდა დამფუძნებელთა აზრს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ისეთი გადაცდომების ჩადენა სკოლის მიზანმიმართულად დანგრევის ტოლფასია. მან ასევე აღნიშნა, რომ ის კარგად იცნობდა დემირელის კოლეჯის მიღწევებს და ძალიან სამწუხაროდ მიაჩნდა სკოლის ხელმძღვანელობის მიზანმიმართული ქმედებები, რომლებიც სკოლის წინააღმდეგ იყო მიმართული.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ ნოდარ ანგურიძეს, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მხოლოდ არსებით ხარვეზებზე ესაუბრა.

ექსპერტმა ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე, მან მოკლედ ისაუბრა სასწავლო წლის დაწყების თარიღთან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზების ზედაპირულობასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე. ასევე, აღნიშნა რომ შეუსაბამო იყო დავალების ტიპები და მისაღწევი შედეგები - ინდივიდუალურ სამუშაოზე მითითებული იყო, რომ იგი მიზნად ისახავს ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებას. ექსპერტმა ყურადღება შეაჩერა არსებით ხარვეზებზე, მაგალითად, ხშირ შემთხვევაში ნიშნები არასწორად იყო დათვლილი და დაჯამებული, აცდენილი იყო შემაჯამებელ შეფასებებსა და იგივე დავალებებში ჟურნალში შეტანილი ქულები, ასევე ფიქსირდებოდა საგნებისა და საათობრივი დატვირთვის აცდენები საათობრივ ბადასა და ჟურნალებს შორის.

ექსპერტმა გიორგი გახელაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა რაიმე მტკიცებულება წარმოსადგენი დასკვნაში მოყვანილ რომელიმე ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რაზეც ზეპირი მოსმენის დროს არ ყოფილა საუბარი. სკოლის დირექტორს ასეთი არ აღმოაჩნდა.

16:15 წუთზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

16:30 წუთზე განახლდა საბჭოს სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა ზეპირი მოსმენის შედეგები. შპს დემირელის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის კენჭისყრაზე დაყენებამდე მან გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მიღებული ინფორმაცია შეიცავს, სავარაუდოდ, სერიოზული გადაცდომების ნიშნებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1



ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს (ს/კ: 204379369) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან მოსმენაზე გამოვლინდა სერიოზული გადაცდომის და დანაშაულის ნიშნები, მან კენჭისყრაზე დააყენა რეკომენდაცია ცენტრის მიმართ, შეაფასოს და განსაზღვროს შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის გადაცდომების პროკურატურითვის გადაცემის მიზანშეწონილობა.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0





4. შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადასთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ლეილა გველესიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, შპს დამოუკიდებელმა საერო გიმნაზია შავნაბადამ განცხადებით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე დაწესებულებაში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადა მდებარეობდა ქ.თბილისში, წულაძის ქ. N22. დაწესებულება ფუნქციონირებდა 3615.00 კვ.მ მიწის ფართობზე განთავსებულ ექვსსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართი იყო 4612.7 კვ.მ. შენობა ახლადგარემონტებული იყო და მისი როგორც ექსტერიერი, ასევე ინტერიერი სრულად აკმაყოფილებდა თანამედროვე სკოლის სტანდარტებს. შენობის მეექვსე სართულზე არსებულ ფართზე მიმდინარეობდა რემონტი, რომელშიც 2017 წლის სექტემბრისთვის განთავსდებოდა ბიბლიოთეკა დიდი სამკითხველო დარბაზით.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ გიმნაზიაში 54 საკლასო ოთახი იყო, რომლებშიც განთავსებული იყო 870 ინდივიდუალური მერხი და სკამი. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 150 მერხის და სკამის შეძენაზე შპს „ბეკარა იმპორტთან“. ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი პასუხისმგებლობას იღებდა, რომ მისაწოდებელი საქონელი არაუგვიანეს 10 სექტემბრისა ჩაბარდებოდა დაწესებულებას. საერთო ჯამში გიმნაზიას ექნებოდა 1020 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო სასწავლო დაფით, მასწავლებლის მაგიდა-სკამით და სხვადასხვა მიზნობრივი საგანმანათლებლო თვალსაჩინოებებით.

გიმნაზიას ჰქონდა 2 სპორტული დარბაზი და ასევე ღია ხელოვნურსაფარიანი დიდი სპორტული მოედანი. დარბაზებში განთავსებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტული სახეობებისთვის შესაბამისი ინვენტარი.

გიმნაზიას ჰქონდა ადაპტირებული გარემო შშმ პირისთვის, რაც გულისხმობს, პანდუსებს შენობის ექვსივე სართულის კიბეებზე და 2 ადაპტირებულ სველ წერტილს.

დაწესებულებას ჰქონდა ონკანითა და გამწოვი კარადით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიული აღჭურვილობებით. ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში მიმდინარეობდა კოსმეტიკური რემონტი.

გიმნაზიაში იყო კომპიუტერული კაბინეტი, რომელშიც აღჭურვილი იყო ინტერნეტში ჩართული 31 კომპიუტერით. დაწესებულებას დამატებით გააჩნდა 19 ლეპტოპი.



ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ გიმნაზიას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. გიმნაზიის კოლექტივი შეადგენდა 103 თანამშრომელს, მათ შორის 63 პედაგოგს და 40 ადმინისტრაციულ-ტექნიკური თანამშრომელს. გიმნაზიის დებულებაში გაწერილი იყო დასაქმებულთა ფუნქცი-ვალდებულებები.

გიმნაზიის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებს უდასტურდებოდათ საგნობრივი კვალიფიკაცია. ამასთან გიმნაზია ჩართული იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰყავდა 40 უფროსი, 22 პრაქტიკოსი და 1 წამყვანი მასწავლებელი.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა დაამატა, რომ გიმნაზიას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი სხვადასხვა საგნის მასწავლებლების შესარჩევად. ვაკანსიები განთავსებული იყო [teachersjobs.ge](http://teachersjobs.ge) -ს ვებ-გვერდზე.

სხდომის თვმჯდომარე, გრიგოლ მურღული დაინტერესდა თუ როდი აპირებდა დაწესებულება მასწავლებლეთა კორპუსის საბოლოო დაკომპლექტებას, რაზეც გიმნაზიის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამჟამად მიდიოდა გასაუბრების პროცესი და კონკურსის დასრულების შემდგომ, 10 სექტემბრამდე დაგეგმილი იყო მათთან ხელშეკრულებების გაფორმება.

სხდომის თვმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 1000 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადას ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადასთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობი გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებებ ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33<sup>1</sup>



მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადას (ს/კ:206051396) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:44 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

გრიგოლ მურღულია

მდივანი

ქეთევან აბულაძე